დაიჯესტი

30 ივლისი - 5 აგვისტო, 2022

TRC ტერორიზმის კვლევითი ცენტრი
TERRORISM RESEARCH CENTER

ამერიკის შეერთებული შტატები

კანადის მოქალაქეს, რომელიც ხელმძღვანელობდა დაეშის პროპაგანდისტულ მცდელობებს და ფართოდ გავრცელებულ ვიდეოებში პირადად დასაჯა ორი სირიელი ჯარისკაცი, პარასკევს ამერიკელმა მოსამართლემ სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა. იუსტიციის დეპარტამენტის თანახმად, მუჰამედ ხალიფა მსახურობდა ISIS-ის პროპაგანდისტულ წარმოებაში წამყვან მთარგმნელად და ISIS-ის მრავალი ძალადობრივი ვიდეოს ინგლისურენოვან მთხრობლად. ხალიფა 39 წლის, საუდის არაბეთის წარმოშობის კანადელია, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა დაეშის ჯგუფში 2013 წლიდან დაპატიმრებამდე 2019 წელს. სასჯელის მემორანდუმში, პროკურორებმა განაცხადეს, რომ ხალიფამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ჯგუფისთვის ათიათასობით უცხოელი მებრძოლის დაკომპლექტებაში ერაყსა და სირიაში თვითგამოცხადებული ხალიფატის დასაცავად. ორ ცნობილ პროპაგანდისტულ ვიდეოში, სახელწოდებით „ომის ალი“, ხალიფა ჩანს თუ როგორ ესვრის სირიელ ჯარისკაცებს თავში, მას შემდეგ, რაც ისინი საკუთარ საფლავს თხრიდნენ. ხალიფას ადვოკატებმა მოითხოვეს 20 წლიანი ვადა პარასკევს ალექსანდრიაში, ვირჯინიის სხდომაზე. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ის ნაკლებად დამნაშავე იყო, ვიდრე ბრიტანეთში დაბადებული დაეშის ორი წევრი - ალექსანდა კოტეი და ელ შაფი ელშეიხი, რომლებსაც ტყვეები მეტსახელად "ბითლზს" უწოდებდნენ - რომლებიც პირადად სცემდნენ და აწამებდნენ დასავლელ მძევლებს. კოტეიც და ელშეიხიც ალექსანდრიაში გაასამართლეს; ერთს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს, მეორესაც სავარაუდოდ, მომავალ თვეში სამუდამო პატიმრობას მიუსჯიან.

ალასკელ კაცს, რომელიც ინტერნეტში გამოჩნდა, როგორც დაეშის მიერ რადიკალიზირებული ლაფაიეტის კოლეჯის სტუდენტი და დაბომბვით ემუქრებოდა რამდენიმე ლოკაციას კამპუსში და ცეცხლსასროლი იარაღით დაცხრილა მანქანა კანადაში, ფედერალურ ციხეში ხუთ წელზე მეტის გატარება მიესაჯა. 22 წლის გევინ ლი კასდორფს ანკორიჯიდან ბრალი წაუყენეს 2019 წლის იანვარში და უკვე 2020 წლის აპრილში მან განზრახ ცრუ მუქარაში დანაშაული აღიარა. მას ოთხშაბათს ხუთი წელი და სამი თვე მიუსაჯა აშშ-ს საოლქო მოსამართლე ედვარდ სმიტმა ისტონში მდებარე ფედერალური სასამართლოს შენობაში. ასევე მიესაჯა სამწლიანი ზედამხედველობით გათავისუფლება და დაეკისრა 7 700 დოლარზე მეტი რესტიტუცია და 1000 დოლარის ჯარიმა. კასდორფი პატიმრობაში იმყოფებოდა 2018 წლის დეკემბრიდან. ფედერალურმა ხელისუფლებამ თქვა, რომ 21 წლის კასდორფმა გამოიყენა Twitter-ის აბსტრაქტული იდენტიფიკატორი “BdanJafarSaleem”, რათა გამოექვეყნებინა განცხადებები 2018 წლის 5 მაისს, სადაც ამტკიცებდა, რომ მან ასაფეთქებელი მოწყობილობები მოათავსა ლაფაიეტის კამპუსში ისტონში და დადო დაეშის ერთგულების ფიცი. მან ასევე გაუგზავნა მუქარის შემცველი წერილი პირდაპირ კოლეჯის ოფიციალური თანამდებობის პირებს. მუქარის შედეგად, ხელისუფლებამ ჩაატარა კამპუსის მასშტაბით ასაფეთქებელი ნივთიერებების წმენდა და ლაფაიეტის კოლეჯმა შეცვალა გამოსაშველი ცერემონიების ლოკაციაც.

თურქეთი

2011 წლიდან, სირიის სამოქალაქო ომის დაწყებიდან დღემდე, თურქეთმა მოახდინა 102 სხვადასხვა ეროვნების 9000 უცხოელი ტერორისტის დეპორტაცია, საიდანაც 1168 შეერთებული შტატებიდან ან ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდანაა. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის განცხადებით, თავიანთი ქვეყნებიდან ტერორისტულ ორგანიზაციებში გაწევრიანების მიზნით მოსული უცხოელი ტერორისტების მებრძოლების დეპორტაციის პროცესები გრძელდება. დეპორტირებული უცხოელი ტერორისტი მებრძოლების ეროვნული განაწილების მიმოხილვისას, განცხადებაში აღნიშნულია, რომ ევროკავშირის ქვეყნები პირველ ადგილზე არიან. განცხადებაში ასევე ხაზგასმულია, რომ 2019 წელს ევროკავშირის 12 ქვეყნიდან 126 უცხოელი ტერორისტი იქნა დეპორტირებული, 2020 წელს ევროკავშირის რვა ქვეყნიდან 95 უცხოელი ტერორისტი და 2021 წელს ევროკავშირის რვა ქვეყნიდან 69 უცხოელი ტერორისტი. მიმდინარე წლის შვიდ თვეში ევროკავშირის ექვსი ქვეყნიდან 20 უცხოელი ტერორისტის დეპორტაცია განხორციელდა.

ისრაელი

ხალედ ალ-ბატშმა, ღაზას სექტორში პალესტინის ისლამური ჯიჰადის პოლიტბიუროს ხელმძღვანელმა The Media Line-ს განუცხადა, რომ ცენტრალური ისრაელს მისი ორგანიზაციიდან საფრთხე ემუქრება. „ჩვენ გვაქვს სრული უფლება, დავბომბოთ ისრაელი ჩვენი ყველაზე მოწინავე იარაღით და ვაიძულოთ ოკუპანტებს, გადაიხადონ მძიმე ფასი. ჩვენ არ დავკმაყოფილდებით ღაზას გარშემო თავდასხმებით, მაგრამ დავბომბავთ ე.წ ისრაელის სახელმწიფოს ცენტრს“, - განაცხადა ბატშმა. ოთხშაბათის ინტერვიუში ბატშმა ნათლად თქვა, რომ ისლამური ჯიჰადი აპირებს შურისძიებას ორშაბათს გვიან ღამით დასავლეთ სანაპიროს მეთაურის, ბასამ ალ-საადის დაპატიმრების გამო. „პალესტინის ისლამურ ჯიჰადს არ შეუძლია ჩუმად იჯდეს და უყუროს ისრაელის დანაშაულებს და პალესტინელთა სისხლის ღვრას დასავლეთ სანაპიროსა და ღაზას სექტორში“, - აღნიშნა მან. ბატშმა ასევე უარყო, რომ ჰამასი ცდილობს ხელი შეუშალოს პალესტინის ისლამურ ჯიჰადს (PIJ) ისრაელზე თავდასხმაში და განაცხადა, რომ ორგანიზაციებს შორის კონტაქტი გრძელდება. „არავინ ცდილობს ხელი შეგვიშალოს ჩვენი უფლების გამოყენებაში, შევაჩეროთ ისრაელის დანაშაულებები.“. „ჩვენი მიზანია, ოკუპაციამ გადაიხადოს თავისი დანაშაულებისთვის საზღაურო და დავამტკიცოთ, რომ ისლამური ჯიჰადი შეასრულებს თავის მოვალეობებს პალესტინელი ხალხის დაცვისა და წინააღმდეგობის გაწევის კუთხით“, - დასძინა მან.

ისლამური ჯიჰადის წამყვანი ტერორისტი ღაზას სექტორში პარასკევს მოკლეს ისრაელის სამხედროების კოორდინირებული, პრევენციული დარტყმის შედეგად, განაცხადა ისრაელის არმიის სპიკერმა უცხოურ მედიასთან ბრიფინგის დროს. ვიცე-პოლკოვნიკმა რიჩარდ ჰეხტმა თქვა, რომ კოორდინირებული დარტყმის წამოწყება პრევენციული ქმედება იყო. გავრცელებული ინფორმაციით, პარასკევს შუადღისას ექვს ობიექტს მოიერიშე თვითმფრინავებმა და შეიარაღებულმა დრონებმა დაარტყეს, რის შედეგადაც

ისრაელის წინააღმდეგ თავდასხმების მომზადების პროცესში დაიღუპა ტაისირ ალ-ჯაბარი, ტერორისტული ჯგუფის ჩრდილოეთ ღაზას სამმართველოს პალესტინის ისლამური ჯიჰადის მეთაური, ასევე ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტების ჯგუფის ხელმძღვანელი (head of the anti-tank guided missile array) და რამდენიმე ტერორისტული რაზმი.

ღაზაში, ჰამასის მიერ მართული ჯანდაცვის სამინისტროს მიხედვით, პარასკევს განხორციელებული და შაბათს გაგრძელებული თავდასხმების შედეგად დაიღუპა სულ მცირე 12 ადამიანი, მათ შორის, 5 წლის გოგო, 22 წლის ხელოვნების სტუდენტი და დაიჭრა 80-ზე მეტი. თავდასხმები განხორციელდა საცხოვრებელ ბინებსა და ბოევიკების საგუშაგო კოშკებზე. ისრაელის პრემიერ-მინისტრის იაირ ლაპიდისა და თავდაცვის მინისტრის ბენი განცის ერთობლივ განცხადებაში ნათქვამია, რომ ოპერაციის მიზნი იყო „ისრაელის მოქალაქეებისა და ღაზას სექტორის მიმდებარედ მცხოვრები მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ საფრთხის აღმოფხვრა, ასევე ტერორისტებისა და მათი სპონსორების მიზანში ამოღება“.

სიტუაციის ესკალაცია მოჰყვა დასავლეთ სანაპიროზე ისლამური ჯიჰადის უფროსი მეთაურის დაკავების გამო ერთი კვირის განმავლობაში მზარდ დაძაბულობას ისრაელსა და ისლამურ ჯიჰადს შორის. საჰაერო თავდასხმების შემდგომ რამდენიმე საათში პალესტინელმა ბოევიკებმა ისრაელის საჰაერო სივრცეში უამრავი რაკეტა გაისროლეს, რაზეც პასუხისმგებლობა ისლამურმა ჯიჰადმა აიღო. ისლამურმა ჯიჰადმა ისრაელის მიმართულებით ალყაში მოქცეული ღაზას სექტორიდან 100-ზე მეტი რაკეტა გაისროლა.

ისრაელი დაბომბვების მეორე დღეს მიმდინარე მოვლენებს უწოდებს „წინასწარ ოპერაციას“ პალესტინის მებრძოლი ჯგუფის წინააღმდეგ. არსებული სიტუაცია ყველაზე ძალადობრივია გასული წლის 11-დღიანი ომის შემდგომ. თავის მხრივ, ისლამურმა ჯიჰადმა ისრაელის თავდაპირველ დაბომბვას „ომის გამოცხადება“ უწოდა. მათ მიერ განხორციელებული თავდასხმების შედეგად, მიუხედავად იმისა, რომ რკინის გუმბათის საჰაერო თავდაცვის სისტემამ შეაკავა ბევრი რაკეტა, 13 ადამიანი მაინც გადაიყვანეს მცირე დაზიანებებით საავადმყოფოში.

საომარი მოქმედებების შედეგად ღაზას სექტორში მცხოვრებლებს ეშინიათ ომის მეორე რაუნდის დაწყების, რაც იქნება მეოთხე სერიოზული კონფლიქტი ღაზაში მას შემდეგ, რაც 2007 წელს ჰამასმა დაამყარა კონტროლი ამ ზოლზე. ისრაელმა და ეგვიპტემ დახურეს ზოლის საზღვრები ერთი წლის შემდეგ, რის გამოც ტერიტორიის 2 მილიონი მცხოვრები უმუშევრობის, დანგრეული სამედიცინო ინფრასტრუქტურისა და მცირე ელექტროენერგიის, სუფთა წყლის ნაკლებობის გამოწვევების წინაშე დადგნენ.

ჰამასმა გამოაცხადა ისლამური ჯიჰადის მხარდაჭერა და განაცხადა, რომ ისიც უპასუხებს საჰაერო დარტყმებს. „წინააღმდეგობა, ჯგუფის მთელი იარაღითა და სამხედრო ფრაქციებით, გაერთიანებულია ამ კამპანიაში და იტყვის ბოლო სიტყვას“, - ნათქვამია ჯგუფის განცხადებაში.

პალესტინა

კვირას ტერორიზმის ბრალდება წაუყენეს 33 წლის პალესტინელ აჰმად რაშდანს, რომელსაც ბრალი ედებოდა ბნეი-ბრაკის (ისრაელი) მკვიდრისათვის ქვის ნატეხით ძალადობრივ თავდასხმაში და მისთვის სერიოზული დაზიანების მიყენებაში ივლისში. პროკურორებმა განაცხადეს, რომ თავდასხმა ისრაელის საზოგადოებაში პანიკის დათესვას ისახავდა მიზნად. აჰმად რაშდანს, ნაბლუსის მახლობლად, დასავლეთ სანაპიროს ქალაქ ეინაბუსში მცხოვრებს, თელ-ავივის რაიონულმა სასამართლომ ბრალი წაუყენა მკვლელობის მცდელობასა და დამამძიმებელ თავდასხმაში, როგორც ტერორისტულ აქტებში, ასევე მართლმსაჯულებისთვის ხელის შეშლაში. საბრალდებო დასკვნის მიხედვით, რაშდანმა „ნაციონალურ-იდეოლოგიური მიზეზების გამო და მოსახლეობაში შიშის ან პანიკის დათესვის მიზნით“ სცადა მოკვლა ებრაული წარმოშობის პირის ქვაფენილით. პროკურორები ამბობენ, რომ თავდასხმა იყო მიზანმიმართული და რომ რაშდანმა ორი დღით ადრე მოინახულა საფეხმავლო ხიდი ულტრამართლმადიდებლურ ქალაქ ბნეი ბრაკსა და მეზობელ გივატ შმუელს შორის, რათა დაეგეგმა, როგორ განეხორციელებინა ქმედება. შემდეგ, 5 ივლისს, დილის ლოცვისკენ მიმავალ იცხაკ დაჰანს ქვით თავს დაესხა და ადგილიდან მიიმალა.

ლიბანი

კვირას ლიბანურმა ჰეზბოლამ აჩვენა თვითმფრინავის კადრები, სადაც ნაჩვენებია ისრაელის გემები, რომლებიც განლაგებულნი არიან ხმელთაშუა ზღვაში ისრაელსა და ლიბანს შორის სადავო გაზის საბადოზე, რაც ხაზს უსვამს დაძაბულობას აშშ-ს შუამავლობით ლიბანსა და ისრაელს შორის საზღვაო სასაზღვრო მოლაპარაკებების ცენტრში. კადრები ნაჩვენები იყო, როდესაც შეერთებული შტატების ენერგეტიკის წარმომადგენელი, ამოს ჰოხშტეინი დაეშვა ბეირუთში, რათა შუამავალი ყოფილიყო ლიბანსა და ისრაელს შორის მიმდინარე მოლაპარაკებებში მათი საზღვაო საზღვრების შესახებ. ლიბანი აცხადებს, რომ მიმდინარე მოლაპარაკებების პროცესში კარიშის გაზის საბადო წარმოადგენს სადავო ტერიტორიას, ხოლო ისრაელის განცხადებით, ლიბანი ისრაელის საერთაშორისოდ აღიარებულ ეკონომიკურ წყლებშია. საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა, აბდულა ბუ ჰაბიბმა პარასკევს განაცხადა, რომ ჰოხშტეინი ლიბანს გააცნობს ისრაელის პასუხს ლიბანის ივნისის წინადადებაზე და დასძინა, რომ ის ოპტიმისტურად არის განწყობილი შეთანხმების მოკლე დროში მიღწევასთან დაკავშირებით. ისრაელიდან ვიდეოს მყისიერი რეაქცია არ მოჰყოლია. ირანის მიერ მხარდაჭერილი პარტიისა და მილიციის ტელევიზიის Al-Manar-ის გადმოცემულია სადაზვერვო დრონით გადაღებული კადრები, რომელიც კარიშის გაზის საბადოზე და მათ კოორდინატებზე დაფრინავს. ჩანაწერი სრულდება რაკეტის კადრებით და არაბულ და ებრაულ ენებზე წარწერით „სივრცის ფარგლებში“.

სირია

კვირას გავრცელებულ განცხადებაში, ჩრდილოეთ სირიის ქალაქ მანბიჯის დემოკრატიულმა სამოქალაქო ადმინისტრაციამ მასობრივ საფლავში 29 გვამის აღმოჩენა დაადასტურა. ქალაქის ცენტრში, სასტუმრო მანბიჯთან, რომელიც ISIS-ი ციხედ იყენებდა, დამარხული სამი ჩონჩხი იპოვეს.სასტუმრო მდებარეობს მანბიჯის სამოქალაქო ადმინისტრაციის შენობასთან. მოგვიანებით საფლავში 18-დან 60 წლამდე ასაკის 29 მსხვერპლთა ცხედარი იპოვეს. ყველა მათგანს ტყვია ჰქონდა თავში მოხვედრილი, ხელები ჰქონდათ შეკრული და იყვნენ თვალდახუჭულნი. ISIS აკონტროლებდა ქალაქს 2014 წლიდან 2016 წლამდე, რის შემდეგაც მანბიჯის სამხედრო საბჭომ გაათავისუფლა ქალაქი ISIS-ისგან აშშ-ს მხარდაჭერით. განცხადებაში ადმინისტრაციამ საერთაშორისო თანამეგობრობას მოუწოდა, რომ ISIS-ის მხარდაჭერისთვის ქვეყნები პასუხისმგებლობა დააკისრონ და დაადანაშაულა თურქეთი ჯგუფის აღზევებაში. ადმინისტრაციამ ასევე დაადანაშაულა თურქეთი ISIS-ის ათასობით მებრძოლის საზღვრის გადაკვეთის უფლებაში. ”ჩვენ კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ საერთაშორისო თანამეგობრობას, გამოასწოროს მათი არასწორი პოლიტიკა”, - ნათქვამია განცხადებაში, ”დააკისროს პასუხისმგებლობა იმ სახელმწიფოებს, რომლებიც ყველა სახის მხარდაჭერას უწევენ ტერორისტულ ორგანიზაციებს.” თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ადრე ხაზგასმით აღნიშნა თავისი წვლილი აშშ-ს ხელმძღვანელობით კოალიციაში ISIS-ის წინააღმდეგ და განაცხადა, რომ თურქეთს აქვს დიდი მექანიზმები, რათა შეაფერხოს ან შეაჩეროს უცხოელი მებრძოლების ნაკადი.

ერაყი

ერაყის საინფორმაციო სააგენტოს (INA) თანახმად, ირანის მიერ მხარდაჭერილმა სახალხო მობილიზაციის ძალებმა (PMF) განაცხადეს, რომ მათ აღკვეთეს ISIS-ის თავდასხმის მცდელობა პარასკევს, ბაღდადის ჩრდილოეთით მდებარე ტარმიას რეგიონში. „მე-12 სახალხო მობილიზაციის ბრიგადის ნაწილებმა მოიგერიეს დაეშის თავდასხმა, რომლის სამიზნეს წარმოადგენდა ბაღდადის ჩრდილოეთით მდებარე ტარმიას ტერიტორია და შეძლეს აღეკვეთათ დაეშის მიერ ტერიტორიაზე შეღწევისა და ტერორისტული ოპერაციების განხორციელების მცდელობები“, - ნათქვამია PMF-ის მიერ INA-ს განცხადებაში. სამხედროებმა დაიწყეს კონტრშეტევა რაიონში ტერიტორიის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით და ჩაატარეს წმენდა ISIS-ის გაქცეული მებრძოლების მოსაძებნად, ნათქვამია განცხადებაში. ერაყის PMF, სახელმწიფოს მიერ სანქცირებული ორგანიზაციაა, რომელიც შედგება ძირითადად ირანის მიერ მხარდაჭერილი შიიტური მილიციებისგან. იგი შეიქმნა მაშინ, როდესაც გავლენიანმა შიიტმა სასულიერო პირმა ალი ალ-სისტანიმ საზოგადოებას მოუწოდა, აეღოთ იარაღი ISIS-ის წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა, რომ მილიცია პირველად შეიქმნა ტერორისტულ ორგანიზაციასთან საბრძოლველად, PMF-ის უდიდესი ფრაქცია, ჰაშდ ალ-შააბი, ასევე პასუხისმგებელი იყო ერაყში აშშ-ს ძალებზე ათობით თავდასხმაზე მისი დაარსების დღიდან.

ირანი

ირანის დაზვერვის სამინისტრომ ხუთშაბათს განაცხადა, რომ ირანმა დააკავა დაეშის 10-კაციანი ჯგუფი, რომელიც თავდასხმებს გეგმავდა რელიგიურ შეკრებებზე. დაკავება განხორციელდა ბოლო სამი დღის განმავლობაში დასავლეთ და სამხრეთ ირანის ორ ლოკაციაზე. შეტაკების დროს დაიჭრა ირანის დაზვერვის ორი აგენტი. სამინისტროს თქმით, ჯგუფი მუჰამარის ისლამურ თვეში რელიგიურ მსვლელობაზე თავდასხმას გეგმავდა.

ჰანს იაჯობ შინდლერი აღნიშნავს, რომ საიფ ალ-ადელმა, რომელიც ყველაზე მეტად სავარაუდოა, რომ გახდეს ალ-კაიდას შემდეგი ლიდერი, ათწლეულები გაატარა ირანში და იყენებდა ირანს, როგორც ოპერაციების მომზადების ბაზად და ამჟამადაც ინარჩუნებს მტკიცე კავშირებს არსებულ რეჟიმთან. აღნიშნული სიგნალია იმისა, რომ მსოფლიოს ორ წამყვან ტერორისტულ ძალას შეუძლია ექსპონენტურად გააფართოოს ურთიერთობები უახლოეს მომავალში.

საიფ ალ-ადელი, ალ-კაიდას ნომერ მეორე ლიდერი და მისი უსაფრთხოების სამსახურის დიდი ხნის მეთაური, 2000-იანი წლების დასაწყისში სხვა უფროს ლიდერებთან ერთად გაიქცა ირანში 11 სექტემბრის თავდასხმების შემდეგ. ირანიდან იგი ეხმარებოდა ორგანიზაციას ზავაჰირის ბრძანებების გადაცემასა და ტერორისტული ოპერაციების ორგანიზაციაში, რომლებსაც ათობით ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. ირანის ისლამური რევოლუციის გვრადიის კორპუსი მფარველობდა ალ-ადელს ქვეყანაში ყოფნის დროს და ნებაც მისცა, დაეგეგმა სასიკვდილო ტერორისტული თავდასხმები, მათ შორის 2003 წლის მაისის ოპერაცია საუდის არაბეთში, რომლის დროსაც რვა ამერიკელი დაიღუპა. ადელის ყოფნა ირანში აჩენს დამატებით კითხვებს ირანის პოტენციური გავლენის შესახებ ალ-კაიდაზე, თუკი ადელი დასახელდება ლიდერად. ალ-ადელის ღირებულება ძალიან გაიზარდა ზავაჰირის სიკვდილის შემდეგ და ირანელები, ჩვეულებრივ, სარგებლობენ ასეთი სიტუაციებით. ალ-ადელის ირანში ყოფნა და თავისუფლება ქმედებებში დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რა არის ირანის რეჟიმის აზრით მისი ღირებულება და რა სარგებელს მიიღებენ აქედან თავიანთი მიზნებისთვის, აღნიშნა შინდლერმა.

ამ კვირაში დასავლური ძალები ხვდებიან თეირანს, რაც მიჩნეულია უკანასკნელ მცდელობად, აღადგინონ შეთანხმება, რომელიც ზღუდავს ირანის ბირთვულ პროგრამას. ჰანს-იაკობ შინდლერმა, გაეროს უშიშროების საბჭოს ISIL-ის, ალ-კაიდასა და თალიბანის მონიტორინგის ჯგუფის ყოფილმა კოორდინატორმა თქვა, რომ ირანის ბირთვული მოლაპარაკებები შეერთებულ შტატებთან თეირანს უნიკალურ შესაძლებლობას აძლევს, თუკი ალ-ადელი გახდება ვაჭრობის საგანი. „ეს ირანელებისთვის ადვილი გამარჯვება იქნება“, - აღნიშნა შინდლერმა.

ბურკინა ფასო

ბურკინა ფასოს არმიამ ოთხშაბათს განაცხადა, რომ კვირის დასაწყისში ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთში კონტრტერორისტული ოპერაციის დროს შემთხვევით დაიღუპა მშვიდობიანი მოქალაქეები. დასავლეთ აფრიკის ქვეყანა ებრძვის ისლამისტური მებრძოლი ჯგუფების მიერ მოწყობილ აჯანყებას, რომლებიც დაკავშირებულია ალ-კაიდასთან და ისლამურ სახელმწიფოსთან, ასევე აკონტროლებენ ტერიტორიის დიდ ნაწილს და ხშირად ახორციელებენ თავდასხმებს. „ოპერაციების დროს, რამაც შესაძლებელი გახადა რამდენიმე ათეული ტერორისტის განეიტრალება, დარტყმებმა, სამწუხაროდ, გამოიწვია მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლი“, - ნათქვამია არმიის განცხადებაში. არ არის ნათქვამი, რამდენი მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა. მსხვერპლებს ორშაბათს ჭურვები მოხვდა კომპიენგასა და პოგნოას შორის, ტოგოს საზღვართან, ნათქვამია განცხადებაში.

ნიგერია

ნიგერიის პოლიციამ განათავსა დამატებითი ძალები აბუჯას გარშემო, რათა გაეძლიერებინა უსაფრთხოება "კრიტიკულ ეროვნულ აქტივებსა და დაუცველ ობიექტებზე". განაცხადა ნიგერიის პოლიციის სპიკერმა სამშაბათს, დედაქალაქის მახლობლად საგუშაგოზე თავდასხმის შესახებ ადგილობრივი ცნობებიდან რამდენიმე დღეში.

აფრიკის ყველაზე დასახლებული ქვეყანა მზარდი შეშფოთების წინაშე დგას ჩრდილო-აღმოსავლეთში ისლამისტური აჯანყების, ჩრდილო-დასავლეთში გამოსასყიდის მიზნით გატაცებების და ქვეყანაში არსებული შეიარაღებული კრიმინალური დაჯგუფებების გამო. ადგილობრივმა გაზეთებმა გასულ ხუთშაბათს გაავრცელეს ინფორმაცია, რომ ეჭვმიტანილი ისლამისტი მებრძოლები თავს დაესხნენ სამხედრო საგუშაგოს აბუჯასა და ნიგერის შტატის მოსაზღვრე რაიონში, რის შედეგადაც რამდენიმე ჯარისკაცი დაიღუპა. ნიგერიის არმიამ და პოლიციამ კომენტარი არ გააკეთეს თავდასხმის შესახებ ცნობების თაობაზე. ნიგერიის პოლიციის ეროვნულმა სპიკერმა (NPF) ოლუმუივა ადეჯობიმ განაცხადა, რომ გენერალურმა ინსპექტორმა უსმან ალკალი ბაბამ გააქრო მოსახლეობის შეშფოთება "უსაფრთხოების ბოლოდროინდელი სავარაუდო საფრთხეების შესახებ". მისი განცხადებით, NPF განათავსებს „დამატებით პოლიციას და ოპერატიულ აქტივებს დედაქალაქში და მის გარშემო, რათა გააძლიეროს მისი მაცხოვრებლების სიცოცხლისა და ქონების, კრიტიკული ეროვნული აქტივებისა და დაუცველი ობიექტების უსაფრთხოება და დაცულობა“.

კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა

გაეროს სამშვიდობო ძალებმა ცეცხლი გაუხსნეს კონგოსა და უგანდას შორის სასაზღვრო პუნქტს, რის შედეგადაც სულ მცირე ორი ადამიანი დაიღუპა და სულ მცირე 15 დაიჭრა,

ამის შესახებ გაეროს მისიამ და კონგოს მთავრობის წარმომადგენლებმა კვირას განაცხადეს. დაძაბულობა აღმოსავლეთ კონგოს მოსახლეობასა და გაეროს სამშვიდობო ძალებს შორის მკვეთრად გაიზარდა გასული კვირის განმავლობაში, დაახლოებით 20 ადამიანი დაიღუპა საპროტესტო გამოსვლებში, რომლებიც ძალებს რეგიონის დატოვებისკენ მოუწოდებდნენ. ბინტუ კეიტამ, კონგოში გაეროს მისიის ხელმძღვანელმა და გაეროს გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა, განაცხადა, რომ იგი შეშფოთებულია სროლით კასინდიში, უგანდასთან სასაზღვრო ქალაქში, კონგოს ჩრდილოეთ კივუს პროვინციის ბენის ტერიტორიაზე. მისი თქმით, გაუგებარია, რატომ გახსნეს ცეცხლი მშვიდობისმყოფელებმა. "ამ სერიოზულმა ინციდენტმა გამოიწვია სიცოცხლის დაკარგვა და სერიოზული დაზიანებები, სროლაზე პასუხისმგებელი პირები იდენტიფიცირებულნი და დაკავებულნი გამოძიების დასკვნამდე, რომელიც უკვე დაწყებულია კონგოს ხელისუფლებასთან თანამშრომლობით". მისი თქმით, ჯარისკაცების მშობლიურ ქვეყნებსაც დაუკავშირდნენ, რათა სასამართლო პროცესი დაიწყოს. კონგოს მთავრობამ მკაცრად დაგმო სროლა და დაადასტურა წინასწარი ინფორმაცია ორი დაღუპულისა და 15 დაჭრილის შესახებ.

[კონგოს არმიამ სამშაბათს გამოაცხადა, რომ მოკლა მოკავშირეთა დემოკრატიული ძალების (ADF) შეიარაღებული დაჯგუფების 11 წევრი,] რომლებიც პასუხისმგებელნი არიან რამდენიმე ათასი მშვიდობიანი მოქალაქის დახოცვაზე 2014 წლიდან კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღმოსავლეთ ნაწილში, ამასთან არმიამ ორშაბათს დაკარგა ორი ჯარისკაცი. „ამ სამშაბათს, 2022 წლის 2 აგვისტოს, DRC-ის შეიარაღებულმა ძალებმა გაანეიტრალეს ADF-ის თერთმეტი ტერორისტი", - თქვა კაპიტანმა ანტონი მუალუშაიმ, არმიის სპიკერმა ბენიში და „აღადგინეს სამი საბრძოლო იარაღი, მათ შორის ავტომატი". „ჯარის მხრიდან ერთი ჯარისკაცი დაიჭრა და ბენიმბაუს სექტორის მეთაური ასევე მსუბუქად დაშავდა", - თქვა მან. ერთი დღით ადრე (ორშაბათს), ლიბეროს (ჩრდილოეთ კივუს) ტერიტორიაზე სხვა მეამბოხე ჯგუფთან, სახელწოდებით მაი-მაი მაზემბე (Mai-Mai Mazembe) ბრძოლაში, არმიამ გაანეიტრალა რვა მეამბოხე და დაკარგა ორი ჯარისკაცი. დაეშის განშტოება ცენტრალურ აფრიკაში (Iscap), ADF ბრალდებულია კონგოში ათიათასობით მშვიდობიანი მოქალაქის დახოცვაში და უგანდაში ჯიჰადისტური თავდასხმების განხორციელებაში. რაც შეეხება მაი-მაის, ეს არის მილიციელების ჯგუფი, რომელთა ქმედებები მერყეობს მათი საზოგადოების ინტერესების დაცვიდან სერიოზულ დანაშაულებამდე.

მოზამბიკი

გაეროს მონაცემებით, [დაეშთან დაკავშირებული მეამბოხეების მზარდმა ძალადობამ მოზამბიკის ჩრდილოეთ ნაწილებში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა ქრისტიანია, გამოიწვია 784 000-ზე მეტი ადამიანი იძულებით გადაადგილება.] სამხრეთ აფრიკის ქვეყნებში შიდა გადაადგილების უახლესი სტატისტიკის გამოცხადებისას, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესმა კომისარმა განაცხადა, რომ „შეშფოთებულია კაბო დელგადოში უსაფრთხოების არასტაბილური სიტუაციით, განსაკუთრებით კი ბოლოდროინდელი თავდასხმებით ისტორიულად უსაფრთხო რაიონებში".

ექსტრემისტები იყენებდნენ ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთში, სანაპირო პროვინციაში, კაბო დელგადოში არსებულ კრიზისს. 2017 წელს სამოქალაქო ომი დაიწყო გაზით, ლალით, გრაფიტით, ოქროთი და სხვა ბუნებრივი რესურსებით მდიდარ ტერიტორიაზე. მომიტინგეები აპროტესტებდნენ იმას, რომ მოგება მიდიოდა მმართველი ფრელიმოს პარტიის ელიტაში და ადგილობრივებისთვის ცოტა სამუშაო ადგილი იყო. 2017 წელს ჯიჰადისტმა ამბოხებულებმა კაბო-დელგადოს პროვიცნიაში მოიგეს ზოგიერთი ადგილობრივი გული, რამდენადაც უკან დაუბრუნეს რესურსები სოფლის მოსახლეობას მთავრობისგან და არავინ მოკლეს. მაგრამ ეს გაგრძელებულა დიდხანს, რადგან დაეშმა დაიწყო ქრისტიანული სოფლებისთვის ცეცხლის წაკიდება და იქ მცხოვრებთა დახოცვა. 2021 წლის მარტში შეერთებულმა შტატებმა დაეში-მოზამბიკი დაასახელა, როგორც "Specially Designated Global Terrorists."

სომალი

[სომალის პრემიერ მინისტრმა ჰამზა აბდი ბარემ სამშაბათს ისლამისტური ალ-შაბააბის თანადამფუძნებელი და სპიკერი დაასახელა რელიგიურ საქმეთა მინისტრად,] ნაბიჯი, რომელიც შეიძლება დაეხმაროს ამბოხებულებთან ბრძოლის გაძლიერებას ან შემდგომი კლანური შეტაკებების პროვოცირებას. მუხთარ რობოუმ 5 მილიონი აშშ დოლარის პრემია მიიღო მას შემდეგ, რაც დააარსა ალ-კაიდასთან დაკავშირებული ალ შაბააბი და მსახურობდა ჯგუფის სპიკერად. სომალის დასავლეთის მიერ მხარდაჭერილი ცენტრალური მთავრობის დასამხობად და ისლამური კანონის მისი ინტერპრეტაციის განსახორციელებლად ალ-შაბააბის მეამბოხეებმა დაბომბვისას ათიათასობით ადამიანი მოკლეს. რობოუ ჯგუფიდან 2013 წელს წამოვიდა და საჯაროდ დაგმო ალ შაბააბი, როდესაც ის მთავრობის მხარეს გადმოვიდა 2017 წელს. მაგრამ ურთიერთობა გაუარესდა მას შემდეგ, რაც ის პოლიტიკურად ძალიან გაძლიერდა. სომალის წინა მთავრობამ რობოუ დააკავა 2018 წლის დეკემბერში, როდესაც ის სამხრეთ-დასავლეთის შტატის რეგიონული პრეზიდენტის კამპანიას აწარმოებდა. უშიშროების ძალებმა სულ მცირე 11 ადამიანი მოკლეს მომდევნო საპროტესტო აქციებში, რასაც გაეროს კრიტიკა მოჰყვა.

[სომალიში დაფუძნებულმა შეიარაღებულმა დაჯგუფებამ, ალ-შაბააბმა სიკვდილით დასაჯა შვიდი ადამიანი სომალის სამხრეთ-დასავლეთ რეგიონში, ქალაქ ბეიში.] სიკვდილით დასჯა, რომელიც საჯაროდ განხორციელდა, შაბათს, გვიან საღამოს სომალის ყურეში, ბუულა ფულაის მიმდებარე ტერიტორიაზე მოხდა. სიკვდილით დასჯილთაგან ექვსს ბრალი წაუყენეს სომალის მთავრობისა და შეერთებული შტატებისთვის ჯაშუშობაში. სამი მათგანი ასევე დაადანაშაულეს დაზვერვისთვის ინფორმაციისა მიწოდებაში, რამაც გამოიწვია ალ-შაბააბის უფროსი ლიდერების იუსუფ ჯიისისა და აბდულკადირის კომანდოს მკვლელობა, რომლებიც 2020 წელს აშშ-ის საჰაერო თავდასხმების სამიზნეს წარმოადგენდნენ. ალ-შაბააბის მოსამართლის განცხადებით, ექვსმა ადამიანმა ბრალი აღიარა მტკიცებულებების გარეშე. ალ-შაბაბის სასამართლოები ნებას არ რთავენ იმ ადვოკატებს, რომლებსაც შეუძლიათ ბრალდებულის დაცვა. იმავდროულად, ეთიოპიაში სომალის შტატის პრეზიდენტმა

მუსტაფა ომარმა განაცხადა, რომ რეგიონის სპეცრაზმის ოპერაციებმა ალ-შაბააბის მებრძოლების წინააღმდეგ განხორციელებული ოპერაციის შედეგად დიდი ზარალი მიაყენა დაჯგუფებას. მათი აზრით, ჯარისკაცებმა მოკლეს ალ-შაბააბის 600 მებრძოლი დაჯგუფების საწინააღმდეგო ოპერაციების დროს, რომლებმაც ერთი კვირის წინ ეთიოპიაში შეაღწიეს, რამაც გამოიწვია ახალი შეტაკებები ეთიოპიის სომალისთან საზღვართან.

ქურდობის საწინააღმდეგო განყოფილების სამი ოფიცერი დაიჭრა ორშაბათს მას შემდეგ, რაც ეჭვმიტანილი ალ-შაბააბის მებრძოლები თავს დაესხნენ მანდერას ელრამის ბაზას. ელრამი სომალის საზღვრამდე დაახლოებით 10 კილომეტრშია. პოლიციამ განაცხადა, რომ მძიმედ შეიარაღებულმა მებრძოლებმა გამოიყენეს ექვსი ძლიერ ასაფეთქებელი ბომბი და PKM შაშკანა დღის რეიდის დროს, დაახლოებით, საღამოს სამ საათზე. გავრცელებული ინფორმაციით, სამმა ოფიცერმა მოახერხა გაქცევა, მაგრამ მათ აქვთ მრავლობითი დაზიანებები ბომბების აფეთქების შედეგად. დაშავებული ოფიცრები, სავარაუდოდ, ნაირობიში გადაიყვანეს.

ალ-შაბააბმა ოთხშაბათს წამოიწყო თავდასხმა აფრიკის კავშირის ჯარების ბაზაზე სომალის სამხრეთში. თავდასხმას მოჰყვა მძიმე სროლა ალ-შაბააბსა და აფრიკის კავშირის ძალებს შორის უგანდადან, რომლებსაც ბაზა აქვთ გოლვეინში, ქვემო შაბელის რეგიონის პატარა ქალაქში. მსხვერპლი იყო ორივე მხარეს. თავდასხმა მოხდა მას შემდეგ, რაც SNA-მ და ATMIS-მა გააძლიერეს ოპერაციები ალ-შაბააბის წინააღმდეგ ქვედა შაბელის რეგიონში, სომალის ყველაზე მილიტარიზებულ რეგიონში.

ავღანეთი

კვირას თალიბანის ძალებსა და ირანელ მესაზღვრეებს შორის შეტაკების შედეგად დაიღუპა სულ მცირე ერთი ადამიანი ავღანეთის მხრიდან, განაცხადა ავღანეთის პოლიციის წარმომადგენელმა. „გვყავს ერთი გარდაცვლილი და ერთი დაჭრილი; შეტაკების მიზეზი ჯერ არ არის ნათელი“, - თქვა ბაჰრამ ჰაკმალმა, პოლიციის წარმომადგენელმა სამხრეთ ავღანეთის პროვინცია ნიმროზეში. ნახევრად ოფიციალური საინფორმაციო სააგენტო, Fars ციტირებს ირანის ხირმანდის სასაზღვრო რეგიონის გუბერნატორს, მაისამ ბარაზანდეს, რომელმაც განაცხადა, რომ შეტაკებები შეწყდა და მსხვერპლი არ ყოფილა. ირანული საინფორმაციო სააგენტო Tasnim იტყობინება, რომ შეტაკებები მას შემდეგ დაიწყო, რაც თალიბანის ძალებმა სცადეს თავიანთი დროშის აღმართვა „რაიონში, რომელიც არ არის ავღანეთის ტერიტორია“. ადგილობრივმა წყაროებმა როიტერს განუცხადეს, რომ ავღანეთის მხარეს საზღვრის მახლობლად მცხოვრები ხალხი სახლებიდან გაიქცა თავშესაფრის მისაღებად, რადგან შეტაკებები გაძლიერდა.

ერთი წლის წინ ავღანეთის ხელში ჩაგდების შემდეგ, თალიბანის ძალები ხშირად უპირისპირდებიან დასავლეთით მეზობელ ირანის და აღმოსავლეთით მდებარე პაკისტანის უსაფრთხოების ძალებს.

ავღანეთის კრიკეტის საბჭომ (ACB) განცხადებით, პარასკევს, ქაბულში, ეროვნული ლიგის მატჩის დროს ყუმბარის აფეთქებას ორი ადამიანი ემსხვერპლა. „აფეთქება ხელყუმბარის შედეგად მაშინ მოხდა, როდესაც მაყურებლები უყურებდნენ მატჩს ადგილობრივი Spages კრიკეტის ლიგის ორ გუნდს შორის, აფეთქების შედეგად ორი ადამიანი დაიღუპა და რამდენიმე დაშავდა“, - განაცხადა შაბათს ქაბულის პოლიციის სპიკერმა, ხალიდ ზადრანმა და დასძინა, რომ უსაფრთხოების ძალები თავდასხმაში პასუხისმგებელებს ეძებენ. „თამაში ცოტა ხნით შეწყდა. ტერიტორიის გასუფთავების შემდეგ მატჩი განახლდა“, - განუცხადა ზადრანმა Reuters-ს. ოფიციალურმა პირებმა, მათ შორის ACB-ის აღმასრულებელმა დირექტორმა, ნასიბ ხანმა, თავდაპირველად განაცხადეს, რომ აფეთქების შედეგად ოთხი ადამიანი დაშავდა და არავინ დაღუპულა. ხანმა დაამატა, რომ არც პერსონალი და არც ACB-ის მოთამაშეები არ დაშავებულან.

კრიკეტი უაღრესად პოპულარული სპორტია ავღანეთში და ქვეყნის ეროვნული გუნდი აგრძელებს წარმატებებს საერთაშორისო დონეზე, მიუხედავად შეზღუდული რესურსებისა და სახლში არასტაბილურობისა. რამდენიმე ავღანელი მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშეებს შორისაა. პარასკევი ავღანეთში ყოველკვირეული საბანკო დღესასწაულია და ადგილობრივმა რვაგუნდიანმა ლიგამ, რომელიც ბოლო 10 დღეა მიმდინარეობს, დედაქალაქის სტადიონზე მნიშვნელოვანი აუდიტორია მიიპყრო“.

თეთრმა სახლმა ორშაბათს განაცხადა, რომ ავღანეთში თვითმფრინავიდან გაშვებულმა ამერიკულმა რაკეტამ მოკლა ალ-კაიდას ლიდერი აიმან ალ-ზავაჰირი, ჯიჰადისტური მოძრაობის დამფუძნებელი წევრი და საერთაშორისო ტერორისტული კამპანიის ერთ-ერთი მთავარი სტრატეგი, რომელიც 11 სექტემბრის თავდასხმებით დაგვირგვინდა. აშშ-ს თავდასხმის სამიზნე იყო ცენტრალური ქაბულის საცხოვრებელი უბნის ერთ-ერთი უსაფრთხო სახლი. ეს თავდასხმა ავღანეთში ცნობილი პირველი კონტრტერორისტული სპეცოპერაციაა, მას შემდეგ რაც აშშ-ს ძალები წინა წელს გაიყვანეს. ბაიდენის ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ თალიბებმა იცოდნენ, რომ ალ-ზავაჰირი იმალებოდა ქაბულში, რაც მოწმობს ალ-კაიდასა და თალიბებს შორის არსებულ ალიანსს. ორშაბათს, თეთრი სახლის აივნიდან გამოსვლისას, პრეზიდენტმა ბაიდენმა გამოაცხადა დარტყმა და დაახასიათა ალ ზავაჰირი, როგორც ტერორისტული ლიდერი, რომელიც ათწლეულების განმავლობაში "იყო ამერიკელების წინააღმდეგ თავდასხმების განმახორციელებელი". ეს თავდასხმები მოიცავდა 2000 წლის თავდასხმას USS Cole-ზე, რომელმაც დაღუპა 17 მეზღვაური და დაჭრა ათობით სხვა და 1998 წელს აშშ-ის საელჩოების დაბომბვა კენიასა და ტანზანიაში, რომლის დროსაც დაიღუპა 224 ადამიანი და დაშავდა 4500-ზე მეტი.

თალიბანის მთავარმა წარმომადგენელმა ორშაბათს დაადასტურა შეერთებული შტატების უპილოტო თვითმფრინავით განხორციელებული დარტყმა. თალიბანის სპიკერმა ზაბიჰულა მუჯაჰიდმა განაცხადა, რომ თავდასხმა მოხდა კვირას და მმართველმა ისლამისტმა ექსტრემისტებმა მკაცრად დაგმეს ის, როგორც „საერთაშორისო პრინციპების“ დარღვევა და 2020 წლის შეთანხმება აშშ-ს ჯარების გაყვანის შესახებ.

ავღანეთის თალიბანის ლიდერებმა ოთხშაბათს გამართეს დისკუსიები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა უპასუხონ ქაბულში ამერიკული თვითმფრინავის თავდასხმას, რომლის შედეგადაც მოკლეს ალ-კაიდას ლიდერი აიმან ალ-ზავაჰირი. ოსამა ბინ ლადენის მოკვლის შემდეგ ბოევიკებისთვის ზავაჰირის სიკვდილი ყველაზე დიდი დარტყმაა. ამერიკელმა მაღალჩინოსანმა, რომელმაც ანონიმურობის პირობით ისაუბრა, აღნიშნა, რომ ვაშინგტონი გააგრძელებს ავღანეთში ალ-კაიდას წინააღმდეგ მოქმედებებს, რათა უზრუნველყოს, რომ ქვეყანა კიდევ ერთხელ არ გახდება თავშესაფარი „ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ შეთქმული ტერორისტებისთვის". „ჩვენ ვიქნებით ფხიზლად და ვიმოქმედებთ საჭიროებისამებრ, ისევე, როგორც ამ კვირაში", - განაცხადა ოფიციალურმა წარმომადგენელმა, რომელმაც ასევე დაამატა, რომ აშშ-ს პრეზიდენტის ჯო ბაიდენის ადმინისტრაცია კვლავ ითანამშრომლებს თალიბანთან, „როდესაც თალიბანს შეეძლება დაეხმაროს ამერიკის ინტერესების წინსვლას".

ზავაჰირის სიკვდილის შემდეგ, გაეროს ტერორიზმის ყოფილი ექსპერტის, ჰანს იაკობ შინდლერის მოწოდებით, ქვეყნებს ახლა მეტი სიფხიზლე მართებთ, რამდენადაც შესაძლებელია განხორციელდეს თავდასხმები შურისძიების მიზნით. „ზავაჰირის სიკვდილი მნიშვნელოვანი კონტრტერორისტული წარმატებაა, მაგრამ ეს არ უნდა იყოს მიზეზი იმისა, რომ ვინმემ შეამსუბუქოს დაცვის მექანიზმები" - თქვა მან. „ზავაჰირის ადგილს დიდი ალბათობით დაიკავებს საიფ ალ ადელი, ტერორისტული ორგანიზაციის პატივსაცემი ფიგურა და პოტენციურად უფრო თამამი ხელმძღვანელი, ვიდრე ზავაჰირი." „ზავაჰირი მოკლეს ქაბულში, რომელიც მთლიანად თალიბანის კონტროლს ექვემდებარება, შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის კუთვნილ სახლში. ეს მეტყველებს იმაზე, თუ რამდენად მჭიდრო ურთიერთობა არის თალიბანსა და ალ-კაიდას შორის, თალიბანის საწინააღმდეგო დაპირების მიუხედავად. „აქედან გამომდინარე, ალ-კაიდას შემდეგ ლიდერს კარგი პოზიცია აქვს ოპერაციების ბაზის ორგანიზებისთვის. სულაც არ არის გამორიცხული, რომ ჩვენ ვიხილოთ ტერორისტების მომზადება ავთანეთში და ფართომასშტაბიანი, სანახაობრივი ტერორისტული თავდასხმებისთვის ერთობლივი მუშაობა". სამშაბათს აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა გააფრთხილა ამერიკელები, რომლებიც საზღვარგარეთ მიემგზავრებოდნენ პოტენციური ძალადობის შესახებ, მას შემდეგ, რაც ამერიკულმა ძალებმა ალ-კაიდას მეთაური მოკლეს.

ალ-კაიდას მეთაურის აიმან ალ-ზავაჰირის დრამატულმა მკვლელობამ გლობალური ტერორისტული ორგანიზაცია რეკრუტირების სერიოზული პრობლემის წინაშე დატოვა. 11 სექტემბრის შემოქმედის, ოსამა ბინ ლადენის გარდაცვალების შემდეგ, ალ-კაიდა დაიშალა რამდენიმე ქვექსელად, როგორიცაა ალ-შაბააბი სომალიში და ჯამაატ ნასრ ალ-ისლამ ვალ მუსლიმი დასავლეთ აფრიკაში. მაგრამ ალ-ზავაჰირი დარჩა ჯგუფის საერთო ლიდერად და ექსპერტები ამბობენ, რომ მისი ჩანაცვლება რთული იქნება. „ზავაჰირი არ იყო ჩარული ფილიალების ყოველდღიური გადაწყვეტილების მიღების პროცესში... მაგრამ საჭირო იყო გამორჩეული და ხანდაზმული ფიგურა, რადგან ყველა ფილიალის ხელმძღვანელმა უნდა დაიფიცოს მის მიმართ პირადი ერთგულება", - თქვა გაეროს ტერორიზმის ყოფილმა ექსპერტმა ჰანს იაკობ შინდლერმა. შინდლერმა France

24-ს განუცხადა, რომ ალ-ზავაჰირის შეცვლა „ცოტათი გამოწვევა“ იქნება. ამერიკის მიერ განხორციელებულმა მიზანმიმართული მკვლელობების დაუნდობელმა კამპანიამ ალ-კაიდას ძალიან მოაკლო გამოცდილი ლიდერები.

თალიბებმა განაცხადეს, რომ არ იცოდნენ ალ-კაიდას ლიდერის, აიმან ალ-ზავაჰირის ავღანეთის დედაქალაქ ქაბულში ცხოვრების შესახებ. „ავღანეთის ისლამურ ემირატს არ აქვს ინფორმაცია აიმან ალ-ზავაჰირის ჩასვლისა და ქაბულში დარჩენის შესახებ“, - ნათქვამია თალიბანის განცხადებაში ხუთშაბათს. „ავღანეთის ისლამური ემირატის ხელმძღვანელობამ საგამოძიებო და სადაზვერვო სააგენტოებს დაავალა ჩაატარონ ყოვლისმომცველი და სერიოზული გამოძიება ინციდენტის სხვადასხვა ასპექტზე“. აშშ-ს ადმინისტრაციის მაღალჩინოსანმა თქვა, რომ ჰაკანის ქსელის თალიბანის მაღალჩინოსნებმა იცოდნენ ალ-კაიდას მეთაურის ქაბულში ცხოვრების შესახებ და გადადგეს კიდეც ზომები მისი იქ ყოფნის სამხილების დაფარვის მიზნით დრონით დარტყმის შემდეგ, შეზღუდეს უსაფრთხო სახლში შესვლა და მისი ოჯახის წევრები, მათ შორის, ქალიშვილი და შვილიშვილები სწრაფად გადაიყვანეს სხვაგან. სახლი, რომელშიც ალ-ზავაჰირი იმალებოდა, არის მწვანე ზონის შერპურის რაიონში, სადაც ავღანეთის წინა ხელისუფლების ჩინოვნიკების უმეტესობა ცხოვრობდა.

გამოძიების ფედერალური ბიუროს დირექტორმა კრისტოფერ ვრეიმ ხუთშაბათს განაცხადა, რომ ის კვლავ შეშფოთებულია ალ-კაიდას მიერ დაგეგმილი ან შთაგონებული ფართომასშტაბიანი თავდასხმის განხორციელების პოტენციალის გამო, მიუხედავად მისი უმაღლესი ლიდერის მკვლელობისა. როგორც ალ-კაიდას, ასევე დაეშსა და მათ ფილიალებს „განზრახული აქვთ განახორციელონ ან შთააგონონ ფართომასშტაბიანი თავდასხმები შეერთებულ შტატებში“. - თქვა რეიმ სენატის სასამართლო კომიტეტის წინაშე ჩვენებისას. ვრეიმ აღნიშნა, რომ ალ-კაიდა ან დაეში დაარტყამს აშშ-ს, თუ ამის შესაძლებლობა მიეცემათ, მაგრამ, უახლოეს პერსპექტივაში, ალ-კაიდა უფრო მეტად კონცენტრირდება საერთაშორისო ფილიალების კულტივირებასა და მცირემასშტაბიანი თავდასხმების მხარდაჭერაზე ისეთ რეგიონებში, როგორებიცაა აღმოსავლეთ და დასავლეთ აფრიკა.

ავღანეთის დედაქალაქ ქაბულში სროლის შედეგად ოთხშაბათს დაიღუპა სულ მცირე ხუთი ადამიანი, მათ შორის თალიბანის პოლიციის ორი და დაეშის სამი შეიარაღებული წევრი. ქაბულის პოლიციის უფროსის თალიბანის სპიკერმა ხალიდ ზადრანმა განაცხადა, რომ პოლიციამ დაიწყო ოპერაცია შეიარაღებული პირების თავშესაფრის წინააღმდეგ, რის შედეგადაც სულ მცირე სამი ადამიანი მოკლეს დასავლეთ ქაბულში, კარტი სახის უბანში. მისი თქმით, შეიარაღებული პირები დაეშის მებრძლები იყვნენ. პასუხისმგებლობა დაუყოვნებლივ არავის აუღია. ზარდანის მიხედვით, ერთ-ერთი მოკლული პოლიციელი ქალი იყო. თალიბანის ოთხი პოლიციელი დაიჭრა და ერთი შეიარაღებული პირი დააკავეს. დაეშის რეგიონულმა ფილიალმა, რომელიც ცნობილია, როგორც დაეში ხორასანის პროვინციაში, გაზარდა თავდასხმები მეჩეთებსა და უმცირესობებზე მთელი ქვეყნის მასშტაბით. დაჯგუფება ქვეყანაში 2014 წლიდან ფუნქციონირებს. დაეში თალიბანის მმართველებისთვის უსაფრთხოების ყველაზე დიდ გამოწვევად მიიჩნევა. გასული წლის აგვისტოში ძალაუფლების ხელში აღების შემდეგ, თალიბებმა დაიწყეს აღმოსავლეთ ავღანეთში დაეშის შტაბ-ბინის წინააღმდეგ

ფართომასშტაბიანი დარბევები. ოთხშაბათის სროლები მოხდა სახის სალოცავთან, უმცირესობის შიიტურ უბანში, სადაც ხალხი მოახლოებული აშურას დღესასწაულისთვის ემზადებოდა. აშურა არის მუჰარამის მეათე დღე, ისლამური მთვარის კალენდრის პირველი თვე.